



საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების
მარეგულირებელი ეროვნული კომისია

მონიტორინგი ბუნებრივი გაზის სექტორში

გულიკო ბედოშვილი
ტარიფების და ფასწარმოქმნის დეპარტამენტი
2008 წ. დეკემბერი

ნორმატიული აქტები ბუნებრივი გაზის
ტრანსპორტირებასა და განაწილების სექტორში
უსაფრთხოების წესების დაცვისა და მომხმარებელთა
მომსახურების წესების დარეგულირების თაობაზე

- * კანონი „ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ“
და ამ კანონის საფუძველზე კომისიის მიერ მიღებული
ქვენორმატიული აქტები:
 - „ელექტროენერგეტიკის, ბუნებრივი გაზის და
წყალმომარაგების საქმიანობის კონტროლისა და
ლიცენზირების წესები“
 - „ბუნებრივი გაზის ბაზრის წესები“
 - „ბუნებრივი გაზის მოხმარების წესები“
- * კანონი „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“
- * უსაფრთხოების წესები ბუნებრივი გაზის მეურნეობებში

ელექტროენერგეტიკის, ბუნებრივი გაზისა და წყალმომარაგების სექტორში სამიანობის კონტროლისა და ლიცენზირების წესები

- ეს დოკუმენტი მიღებულია (განახლებულია) მარეგულირებელი კომისიის მიერ 2008 წლის სექტემბერში და იგი ადგენს იმ აუცილებელ მოთხოვნებს-პირობებს, რომელთა შესრულება სავალდებულოა ყველა იმ პირისთვის, რომელიც ახორციელებს ელექტროენერგეტიკის, ბუნებრივი გაზის და წყალმომარაგების სექტორში „ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ“ კანონით განსაზღვრულ საქმიანობას, სევე განსაზღვრავს ამ სექტორში არალიცენზირებად საქმიანობებზე კონტროლის (მონიტორინგის) განხორციელების პირობებსა და პროცედურებს.
- ბუნებრივი გაზის მიწოდების საქმიანობის კონტროლს (მონიტორინგს) ახორციელებს კომისია.
- კონტროლი ხორციელდება: 1. საქმიანობის-მომსახურების პირობების დაცვის შესახებ ანგარიშგებით;
 - ყოველკვარტალური და წლიური ფინანსური ანგარიშები;
 - ტექნიკური ანგარიში
- 2. შერჩევითი შემოწმება
- 3. მომხმარებელთა საჩივრების საფუძველზე.

ელექტროენერგეტიკის, ბუნებრივი გაზისა და წყალმომარაგების სექტორში სამიანობის კონტროლისა და ლიცენზირების წესები

გაგრძელება

■ ლიცენზირების წესები

– კანონის თანახმად, ბუნებრივი გაზის სექტორში ლიცენზირებას ექვემდებარება ბუნებრივი გაზის ტრანსპორტირება და განაწილება.

– ლიცენზირების წესები ადგენს იმ აუცილებელ მოთხოვნებს, რომელთა შესრულებაც სავალდებულოა ლიცენზიის მაძიებელი და ლიცენზიის მფლობელი მეწარმე სუბიექტისთვის, მიუხედავად მისი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმისა.

– ლიცენზიების გაცემას, მასში ცვლილებების შეტანასა და გაუქმებას, ასევე სალიცენზიო პირობების განსაზღვრასა და მათი შესრულების კონტროლს ახორციელებს მარეგულირებელი კომისია

ელექტროენერგეტიკის, ბუნებრივი გაზისა და წყალმომარაგების სექტორში სამიანობის კონტროლისა და ლიცენზირების წესები

გაგრძელება

- ლიცენზიის მისაღებად ლიცენზიის მაძიებელმა კომისიას უნდა წარუდგინოს წერილობითი განცხადება კომისიის მიერ შემუშავებული ფორმის შესაბამისად, რომელსაც თან უნდა ერთვოდეს:
 - ა) საწარმოს ძირითად საშუალებათა (აქტივების) ჩამონათვალი და შეფასების (აუდიტის) დასკვნა;
 - ბ) წარმოების საშუალებების ფლობის ან/და სარგებლობის დამადასტურებელი საბუთი, ამონაწერი საჯარო რეესტრიდან, საკადასტრო რუკა;
 - გ) ტექნიკური ზედამხედველობის სახელმწიფო ინსპექციის ან/და არქიტექტურულ-სამშენებლო ინსპექციის დასკვნა, რომელიც ადასტურებს ამ წარმოების საშუალებების ტექნიკური მდგომარეობის შესაბამისობას მოქმედ სახელმწიფო სტანდარტებთან და ნორმებთან;
 - დ) ქსელში ჩართვის ტექნიკური პირობა;
 - ე) ბუნებრივი გაზის ქსელის სქემა.

ელექტროენერგეტიკის, ბუნებრივი გაზისა და წყალმომარაგების სექტორში სამიანობის კონტროლისა და ლიცენზირების წესები

გაგრძელება

- * კონტროლს (მონიტორინგს) სალიცენზიო პირობების შესრულებაზე ახორციელებს კომისია
კონტროლი ხორციელდება: ა) სალიცენზიო პირობების დაცვის შესახებ ანგარიშებით;
ბ) სალიცენზიო პირობების შესრულების შერჩევითი შემოწმება ან მომხმარებლის საჩივრის საფუძველზე.
- * ბუნებრივი გაზის ტრანსპორტირების და განაწილების ლიცენზიატები ვალდებული არიან კომისიას, მის მიერ დადგენილ ვადებში წარუდგინოს სალიცენზიო პირობების დაცვის შესახებ ანგარიშგება:
 - ა) ყოველკვარტალური ინფორმაცია საქმიანობის შესახებ (ეკონომიკურ-ფინანსური მაჩვენებლები) და წლიური ფინანსური ანგარიში დამოწმებული აუდიტის მიერ.
 - ბ) ტექნიკური ანგარიში (წარმოების საშუალებების ტექნიკური მდგომარეობის შესახებ)
 - გ) ინფორმაცია მომსახურების ხარისხის, ასევე მომსახურების პირობების გაუმჯობესების კუთხით შესრულებული და მომავალი პერიოდისთვის დაგეგმილი ღონისძიებების თაობაზე.
 - დ) ავარიების და მათ აღმოსაფხვრელად გატარებული ღონისძიებების შესახებ.
 - ე) სხვა ინფორმაცია, რომელსაც კომისია საჭიროდ მიიჩნევს.

ბუნებრივი გაზის ბაზრის წესები

- * „ბუნებრივი გაზის ბაზრის წესები“ დამტკიცებულია ენერჯეტიკის სამინისტროს მიერ 2006 წელს. წესებში მოცემული ნორმები აწესრიგებს ბუნებრივი გაზის მიწოდებელს, ტრანსპორტირების და განაწილების ლიცენზიატებსა და პირდაპირ მომხმარებლებს შორის ურთიერთობებს.
- * ძირითადი პრინციპები
 1. ბუნებრივი გაზის მიწოდების ძირითადი პრინციპებია ბუნებრივი გაზის უსაფრთხო, უწყვეტი, საიმედო, და ხარისხიანი მიწოდება;
 2. ტრანსპორტირების ლიცენზიატი ვალდებულია:
 - ოპერატიულად შეასრულოს მიმწოდებლის მითითება ამა თუ იმ პირისთვის ბუნებრივი გაზის მიწოდების, მიწოდების შეწყვეტის ან აღდგენის თაობაზე;
 - დაიცვას საიმედოობის სტანდარტები;
 - დადგენილი წესების შესაბამისად განახორციელოს უწყვეტი მომსახურება ყველა სახის მომხმარებლისთვის;
 - დაიცვას უსაფრთხოების დადგენილი ნორმები და წესები;
- * ბუნებრივი გაზის მიმწოდებელი, ტრანსპორტირების ან განაწილების ლიცენზიატი უფლებამოსილია დადგენილი ნორმების დაცვით შეწყვიტოს მომსახურება თუ:
 - თუ მომხმარებელი არ ასრულებს კანონმდებლობით და ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებებს;
 - საჭიროა დაგეგმილი ან ავარიული სამუშაოების ჩატარება;
 - აღგილი აქვს უსაფრთხოების მოთხოვნების დარღვევას ან/და გაზის ხელსაწყოების გამოყენება ქმნის ზიანის მიყენების რისკს.

ბუნებრივი გაზის ბაზრის წესები

გავრძელება

*საიმედოობის სტანდარტები:

– ბუნებრივი გაზის ტრანსპორტირების ლიცენზიატი ვალდებულია გამართულ მდგომარეობაში იქონიოს მეზობელი ქვეყნების სისტემებთან დამაკავშირებელი ბუნებრივი გაზის ტრანსპორტირების ქსელი.

– ტრანსპორტირების ლიცენზიატი ვალდებულია ისე დააპროექტოს და მართოს სისტემა, რომ უზრუნველყოფილ იქნეს სისტემის სტაბილურობა მაშინაც კი, როდესაც მწყობრიდან გამოვა ტრანსპორტირების სისტემის ერთი ან მეტი ელემენტი (მოწყობილობა).

– ტრანსპორტირების სისტემაში სტიქიური უბედურებით, დივერსიით, ავარიით ან სხვა მოვლენებით გამოწვეული ბუნებრივი გაზის დეფიციტის შემთხვევაში, გაზი უნდა გადახაწილდეს აუცილებლობისა და სამართლიანობის პრინციპების შესაბამისად. ასეთ შემთხვევაში ტრანსპორტირების ლიცენზიატი ვალდებულია პირველ რიგში ბუნებრივი გაზით უზრუნველყოს ელექტროენერჯის მწარმოებელი საწარმოები.

– ბუნებრივი გაზის ტრანსპორტირების მოთხოვნის უფლება გააჩნია მიმწოდებელს ან პირდაპირ მომხმარებელს.

– ბუნებრივი გაზისა და ოდორიზაციის ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს ამ სექტორში მოქმედ წესებსა და სახელმწიფო სტანდარტის ნორმებს. ოდორიზაციას ახორციელებს ტრანსპორტირების ლიცენზიატი, ხოლო კონტროლი და პასუხისმგებლობა ეკისრება ტრანსპორტირების ან/და შესაბამის განაწილების ლიცენზიატს.

– ბუნებრივი გაზის ტრანსპორტირების ლიცენზიატი, ბუნებრივი გაზით მომარაგების დაწყებამდე, ვალდებულია მოსთხოვოს განაწილების ლიცენზიატს ან პირდაპირ მომხმარებელს, სისტემასთან მიერთების და აღრიცხვის კვანძის ტექნიკური მდგომარეობის გამართულობის დამადასტურებელი სათანადო დოკუმენტაცია.

ბუნებრივი გაზის მოხმარების წესები

* „ბუნებრივი გაზის მოხმარების წესები“ დამტკიცებულია მარეგულირებელი კომისიის მიერ 2004 წელს და იგი ადგენს (აწესრიგებს) ბუნებრივი გაზის სექტორში იმ კომპანიებსა და მომხმარებლებს შორის ურთიერთობებს, რომლებიც განაწილების ქსელის მეშვეობით ახორციელებენ ბუნებრივი გაზის ყიდვა-გაყიდვას, განაწილებას და მოხმარებას.

– მომხმარებლის ბუნებრივი გაზის გამანაწილებელ ქსელთან მიერთება საჭიროებს ბუნებრივი გაზის განაწილების შესაბამისი ლიცენზიის ნებართვას.

– განაწილების ლიცენზიატს ვალდებულია უარი განაცხადოს განაწილების ქსელთან მომხმარებლის მიერთებაზე თუ მომხმარებლის გაზის ხელსაწყოები (გამათბობელი, წყალგამაცხელებელი, გაზქურა და სხვა) არასერთიფიცირებულია და არ გააჩნია შესაბამისი საექსპლოატაციო საპასპორტო დოკუმენტაცია.

– მომხმარებელმა, რომელსაც სურს მიიღოს ბუნებრივი გაზი, განაცხადი უნდა წარუდგინოს მის მიერ შერჩეულ მიმწოდებელს.

– მიმწოდებელმა ან/და განაწილების ლიცენზიატმა მომხმარებლის განცხადებას დასაბუთებული წერილობითი პასუხი უნდა გასცეს არაუგვიანეს ორი კვირის ვადაში.

* ბუნებრივი გაზის მოხმარების წესები აწესრიგებს ასევე მოხმარებული გაზის საფასურის ღარიცხვის და გადახდის წესებს, მრიცხველის ჩვენებასთან დაკავშირებულ დავებს, გაზის უკანონო მოხმარების აღკვეთის საშუალებებს, მრიცხველის მოხსნისა და ოქმის შედგენის წესებს და სხვა.

უსაფრთხოების წესები ბუნებრივი გაზის მეურნეობაში

- * „უსაფრთხოების წესები ბუნებრივი გაზის მეურნეობებში“ დამტკიცებულია საქართველოს ტექნიკური ზედამხედველობის სახელმწიფო ინსპექციის მიერ 2002 წელს და იგი ადგენს მოთხოვნებს უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად და სავალდებულოა საქართველოს ტერიტორიაზე ყველა საწარმოსთვის, რომლებიც აპროექტებენ, აშენებენ და ექსპლოატაციას უწყევენ არა უმეტეს 1,2 მეგაპასკალი ჭარბი წნევის ბუნებრივი გაზით მომარაგების სისტემებს, მოიხმარენ გაზს სათბობად და ტექნოლოგიური მიზნებისთვის, ამზადებენ და იყენებენ გაზის მეურნეობის მოწყობილობას.
- * „წესების“ რეგულირების სფეროში შედის ბუნებრივი გაზის გაზგამანაწილებელი მეურნეობის შემდეგი სახის ობიექტები:
 - გარე გაზსადენები და ნაგებობები (ქალაქების, სხვა დასახლებული პუნქტებისა და დასახლებათაშორის ტერიტორიაზე განლაგებული გაზსადენები ნაგებობებითურთ;
 - სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო წარმოებების , საქვაბეების შიგა გაზსადენები და გაზგამომყენებელი დანადგარები;
 - შენობების შიგა გაზსადენები და გაზმოწყობილობა;
 - გაზმარეგულირებელი სადგურები, პუნქტები და დანადგარები;
 - გაზსადენების ელექტროქიმიური კოროზიისგან დაცვლი სისტემები.
- * „წესები“ ითვალისწინებს გაზის მეურნეობებში დასაქმებული პერსონალის კვალიფიკაციისა და ცოდნის შემოწმების პერიოდულობას. გაზმომარაგების სისტემის ექსპლოატაციაში მიღებისა და ექსპლოატაციის წესებს,

B უსაფრთხოების წესები ბუნებრივი გაზის მეურნეობაში

გაგრძელება

- * ტრანსპორტირების სისტემის (მაგისტრალური გაზსადენების) ექსპლოატაციისას ამ ეტაპზე გამოიყენება საბჭოთა კავშირის დროინდელი გაზის მრეწველობის სამინისტროს მიერ მიღებული უსაფრთხოების წესები.
- * ბუნებრივი გაზის ტრანსპორტირების სისტემის ხანდაზმულობა, რთული რელიეფური და კლიმატური პირობები განსაზღვრავს განსაკუთრებულ მოთხოვნებს მათი უსაფრთხო ექსპლოატაციისათვის.
- ტრანსპორტირების გაზსადენის უმაღლესი ნიშნული – 2400 მ;
- გაზსადენები კვეთს 2000-ზე მეტ ხელოვნურ და ბუნებრივ დაბრკოლებას, 118 დიდ და საშუალო მდინარეს;
- გაზსადენის 6.013 კმ გაყვანილია სპეციალურად აგებულ 12 გვირაბში;
- გაზსადენების 1940 კმ-დან 19% ექსპლუატაციაშია 30 წელზე მეტი ხნის განმავლობაში; 76% - 10-30 წლამდე; 5% - 10 წელზე ნაკლები;
- გაზსადენის აქტიური ელ.ქიმიური დაცვა განხორციელებული იყო 200 კათოდური და 40 ელ.დრენაჟული დაცვის დანადგარით, 3500 პროტექტორით; 1991-1992 წლიდან ისინი აღარ ფუნქციონირებს;

უსაფრთხოების წესები ბუნებრივი გაზის მეურნეობაში

გაგრძელება

* 90-იან წლებში საქართველოში თითქმის შეწყვეტილი იყო ბუნებრივი გაზის მოწოდება და შესაბამისად მოხმარება, რამაც გამოიწვია მიწისქვეშა გაზსადენების ელექტროქიმიური დაცვის მოშლა, შესაბამისად გაზსადენების კოროზია, რაც შემდგომში (გაზის მოწოდების განახლების შემდეგ) რისკის ქვეშ აყენებდა უსაფრთხო გაზმომარაგებას.

ამასთან, ბაზარი გადაივსო არასერთიფიცირებული გაზის ხელსაწყოებით (გამათბობლებით), რომელთა მონტაჟს მომხმარებელი თვითნებურად ახდენდა, რაც თავის მხრივ ხშირ შემთხვევაში იწვევდა უბედურ შემთხვევებს. ამჟამად მოთხოვნა უსაფრთხოების წესების დაცვაზე გამკაცრებულია და მომსახურების ხარისხიც მატულობს.



გზადღობთ ყურადღებისთვის